(გამარტივებული შესყიდვა)

სოფ. ხიდიკარი

6 თებერვალი 2017 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორი გია გუჯაბის სახით და მეორეს მხრივ ი/მ დიომიდე დვალის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი) ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად ა(ა)იპ თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრისათვის 2017 წლისათვის სოფელ აბარის მუზეუმისთვის დაამზადოს 10 ცალი (ათი ცალი) შემინული დასადგმელი კარადა CPV 39100000. სარეკლამო ბანერი 1 ცალი (ერთი ცალი) CPV 22400000.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ა(ა)იპ თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრისათვის 2017 წლისათვის სოფელ აბარის მუზეუმისათვის დაამზადოს შემინული დასადგმელი კარადა და სარეკლამო ბანერი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 500 (ხუთასი ) ლარით კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიწოდების ვადები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრს მიაწოდოს სოფელ აბარის მუზეუმისათვის შემინული დასადგმელი კარადა და სარეკლამო ბანერი.

4.2 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან .

4.3შესყიდვის ობიექტის მიწოდება განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017წლის 6 თებერვლიდან.

5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშ სწორება განხორციელდება ლარში უნაღდო ანგარიშსწორებით შესრულებული სამუშაოს დამთავრების და მიღება -ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა დგება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მთავრდება 2017წლის 6 მარტამდე.

### 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

### 9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

9.2შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

### 10. სხვა პირობები

10.1წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

### მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

თვითმმართველი თემი ამბროლაურის

კულტურის ცენტრი

მისამართი სოფ. ხიდიკარი

ტელეფონი 599 15 61 08

საიდენტიფიკაციო კოდი 422934873

სახელმწიფო ხაზინა

ბ/კTRESGE22

ა /ა სახაზინო კოდი 746653459

დირექტორი: /[illegible]/

მიმწოდებელი

ი/მ დიომიდე დვალი

მისამართი ამბროლაური

ანგN GE24LB0112114063969000

საიდენტიფიკაციო კოდი 04001002085

სს ლიბერთი ბანკის ამბროლაურის ფილიალი

ბ/კ 220101421

დირექტორი ; /დ.დვალი/